საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება #04/712/02
(CPV71200000 - არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები)
(კონკურსი #1628)

ქ. თბილისი 7 მაისი 2015 წელი

ერთის მხრივ საქართველოს შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარე გურამ ტომარაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ესსა" (შემდგომში შემსრულებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ნანავას სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე :

1.ხელშეკრულების საგანი

1. საქართველოს შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს გარდაბნის განყოფილების ადმინისტრაციული შენობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **9 400 (ცხრა ათას ოთხასი) ლარს (დღგ-ს ჩათვლით).**

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, შესრულებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან **10 (ათი) დღის** ვადაში.

3.3. ანგარიშსწორება ხორციელდება შსს სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის **2015 წლის საკუთარი სახსრებით.**

4.მიღება–ჩაბარების წესი

4.1. გაწეული მომსახურების მიღებას ახორციელებს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების გმს ინსპექტორი (შემსყიდველის გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე).

4.2. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მომსახურების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

4.3. წუნის, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება მოხდება მისი სრული აღმოფხვრის შემდეგ.

5. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა.

5.1. მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.

5.2. #1628 საკონკურსო განცხადებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენა უნდა განხორციელდეს **ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 20 კალენდარული დღის ვადაში.**

6. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2. პუნქტში.

6.5. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა პროექტის განხორციელების პროცესში (6 თვის განმავლობაში) (დამატებითი ანაზღაურების გარეშე საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, პროექტისა და შესრულებული სამუშაოების იდენტურობის დადასტურება).

6.6.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემდეგ მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გასვლის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,2%–ის ოდენობით, იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს შემსყიდველს აქვს უფლება შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9.დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი, დაუძლეველი ძალის

ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან **2015 წლის 10 ივლისის ჩათვლით.**

11.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულება/ან შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნაკისრი ვალდებულებებისგან.

12. სხვა პირობები

12.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

12.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და მეორე პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი **მის.:** ქ. თბილისი,დავით აღმაშენებლის ხეივან მე-11 კმ **ს/კ:** 211350928 სახელმწიფო ხაზინა ხაზინის ერთიანი ანგარიში **თავმჯდომარე** გურამ ტომარაძე (ხელმოწერა, ბეჭედი)	**შპს „ესსა“** **მის.:** ქ.თბილისი პეკინის 34/ალ.ყაზბეგის 2 **ს/კ:** 404875998 **ბანკის კოდი:** BAGAGE22 **ა/ა:** GE05BG000 000 028 146 9500 **ტელ.:** 591 66 10 00 **ელ.ფოსტა:** essa.architecture@gmail.com **დირექტორი** გიორგი ნანავა (ხელმოწერა, ბეჭედი)